

ო. მიმინოშვილის 2 ბურთი

წყალბურთის ახალი წესებით მოთამაშეთა შეცვლამ მეტად საინტერესო გახადა თამაში. ახლა შეხვედრები მიმდინარეობს უფრო სწრაფ ტემპში და მწვრთნელებსაც მეტი მანევრირების საშუალება ეძლევა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ თბილისის „დინამოსა“ და „ტრულის“ (რსფსრ) 6 ივნისის შეხვედრა. თამაშის პირველი პერიოდი ჩვენმა გუნდმა ასეთი შემადგენლობით დაიწყო: ლ. გოგოლაძე, ი. ჩხიკვაძე, კ. კვიციანი, ვ. მეგლი, ო. მიმინოშვილი, ნ. გვახა-

რია, ნ. წიკლაური. თბილისელებმა თამაში აუჩქარებლად დაიწყეს, ეს სასიამოვნო სიურპრიზი იყო „ტრულისათვის“, რომელშიც თამაშობენ „ა“ კლასის სხვადასხვა გუნდებში წინათ მოთამაშე სპორტსმენები — პ. ბრეუსი, ვ. იაკოვლევი, ვ. ბართაყვი, ვ. ტუბეროზოვი. რასაკვირველია, მათთვის ხელსაყრელი იყო ასეთი ტემპი, პირველი პერიოდის განმავლობაში ანგარიში არ გახსნილა.

2-წუთიანი შესვენების შემდეგ ნ. წიკლაურისა და ვ. მეგლიძის ნაცვლად თამაშში ჩაებნენ გ. ჩიქვანია და ვ. რომანოვი. ამან მეტი სიციცხლე შეიტანა თბილისელთა თამაშში. ...ცენტრზე მდებარე ბურთთან პირველი მიიჭრა ვ. რომანოვი, სწრაფად გადასცა ვ. ჩიქვანიას, რომელმაც „ტრულის“ კარში ძლიერად ტყორცა. მეკარის მიერ უკუგდებულ ბურთს მიუსწრო ო. მიმინოშვილმა და ანგარიში გახსნა — 1:0.

სწრაფი: ბათუმის „განთავისა“ და ტყიბულის „მეშახტის“ თამაშის მომენტი.

ფოტო ე. ჭანტურიასი



გათამაშების მეათე ტური

მეოთხე გუნდსა და ქობულეთის ფეხბურთელებს შორის, სტუმრებმა კოლექტიური, მონდომებული თამაში აჩვენეს და თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს პირველი ტაიმი — 2:1. შემდგომში არბოლები ბევრს ეცადნენ გამოეყრებინათ მდგომარეობა, მაგრამ ქობულეთელებმა წარმატებით მიიგერიეს ყველა მათი შეტევა და შეინარჩუნეს პირველი ტაიმი მიღწეული ანგარიში — 2:1.

მხარბაძის „სისარულის“ ახლოლტურე უპირატესობით მიმდინარეობდა შეხვედრა გეგმპორის „სალხინოსთან“. მხარბაძელებმა ყოველ ტაიმში გაიტანეს 4 „შპრალი“ ბურთი და დიდი ანგარიშით — 8:0 დაამარცხეს მოწინააღმდეგე.

ბათუმელი ფეხბურთის მოყვარულნი დიდი ინტერესით მოელოდნენ თავიანთი „განთავის“ შეხვედრას ტყიბულის „მეშახტისთან“. მატჩის დასაწყისი მართლაც დაძაბულად და სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა და ანგარიშიც ბათუმელთა მიერ იქნა გახსნილი. მაგრამ მასპინძლებმა დაუშვეს შეცდომა, რომელიც მათ პირველად არ მოსდით: ისინი დაცვაზე გადავიდნენ, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა „მეშ-

აქვე უნდა აღინიშნოს ო. მიმინოშვილის გააზრებული თამაში. იგი თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში შეყვანილ იქნა 1960 წლის საკავშირო პირველობაზე, ხოლო ამ შეჯიბრების მეორე წრეში ისე დაოსტატდა, რომ „დინამოს“ ერთ-ერთი უძლიერესი წყალბურთელის სახელი მოიპოვა. ამის გამო იგი ჩაირიცხა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდში. ო. მიმინოშვილი ძალზე სწრაფია, ორივე ხელით ერთნაირი ძალით ტყორცის კარში, ამასთან კარგად ირჩევს ადგილს.

ანგარიში შეიცვალა მეოთხე პერიოდში. ნ. გვახარიამ და ო. მიმინოშვილმა მარჯვენა ფლანგზე გაითამაშეს კარგი კომბინაცია, ამ უკანასკნელმა მოატყუა მცველი, მეკარე და ბურთი „ტრულის“ კარის ბაღში გაახვია — 2:0.

მოსკოვის „ბურევესტიკა“, რომელმაც წინა ტურში ქულა დაკარგა ლენინგრადის „ბალტიკასთან“,

ბტემ“ და გაათანაბრა ანგარიში — 1:1, მატჩის შემდგომი მსვლელობა სრულიად არ შეესაბამებოდა მოლოდინს, ტყიბულელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს იგი, მთლიანდ ხელთ აიღეს ინიციატივა და დიდი განსხვავებით დაამარცხეს ბათუმელთა გუნდი — 5:1.

ორმხრივ იერიშებში მიმდინარეობდა მატჩი ქუთაისში ადგილობრივ „იმერეთსა“ და ქიათურის „შალაროელს“ შორის. ტერიტორიული უპირატესობა თავიდან ქუთაისელთა მხარეს იყო, რომელთაც შეძლეს კიდევ პირველი ბურთის გატანა — 1:0. თამაშის მეორე ნახევარში მოწინააღმდეგეთა კარებში გატანილ იქნა თითო ბურთი და გამარჯვება დარჩა „იმერეთს“ — 2:1.

ჩოხატაურში შედგა მატჩი ადგილობრივ „ბახმაროსა“ და თელავის „კოლმეურნის“ შორის. პირველ ტაიმში დაწინაურდნენ მასპინძლები — 1:0. ამის შემდეგ თამაშმა მეტად მწვევე ხასიათი მიიღო და საბოლოოდ ჩოხატაურელებმა შეინარჩუნეს დასაწყისში მოპოვებული უპირატესობა, მათ გამარჯვებს ანგარიშით 3:2.

გადაწყვიტა „შური ეტია“ ლენინგრადის მეორე გუნდზე — „სპარტაკზე“, მაგრამ თამაშის პირველ და მეორე პერიოდში მოსკოველები მოწინააღმდეგის სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ და მხოლოდ მესამე პერიოდში შეძლეს მათ თამაშში გარდატეხის შეტანა. მოთამაშეთა დროულმა შეცვლამ, მოწინააღმდეგის შეცდომების გამოყენებამ გამარჯვება (4:1) მოუტანა სტუმრებს.

ბ. ხარბაძე,
საერთაშორისო კატეგორიის მსახი,

ზ. ჯანდიერი
გუშინ შედგა მეოთხე ტურის მატჩები, თბილისის „დინამომ“ მოუგო ტაღისის თანაკლებულს — 7:0. ლენინგრადის „სპარტაკმა“ — მინსკის „ბურევესტიკას“ — 3:2, მოსკოვის „ბურევესტიკამ“ — „ტრულს“ (რსფსრ) — 4:2. კიევის „ბურევესტიკის“ და ლენინგრადის „ბალტიკის“ გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა	ივნისისათვის	თ. მ. ფ. წ. ბ. ქ.
„დინამო“ მ.	3 3 0 0	22:4 6
ვ შ ფ	3 3 0 0	19:1 6
„დინამო“ ლვ.	3 2 0 1	11:5 4
„ბურევესტიკა“ ლ.	3 2 0 1	6:6 4
კ ქ ფ ბ.	3 1 0 2	13:10 2
„ტრუბელი“ მ.	3 1 0 2	9:10 2
„მოლდოვა“ ქ.	3 0 0 3	2:22 0
„შრ. რეზ.“ ფრ.	3 0 0 3	1:25 0

მდგომარეობა	8 ივნისისათვის
„დინამო“ თბ.	4 4 0 0
„ბურ.“ მ.	4 3 1 0
„ბურ.“ ქ.	4 2 1 1
„ბალტიკა“ ლ.	4 1 2 1
„ტრული“ რსფსრ	4 1 1 2
„სპარტაკი“ ლ.	4 1 1 2
„ბურ.“ მფ.	4 1 0 3
„დინამო“ ტლ.	4 0 0 4

თბილისში ერთმანეთს შეხვედნენ ადგილობრივი და რუსთავის „სპარტაკის“ თანაკლებულები. თბილისელებმა კარგად დაიწყეს თამაში და ორი ბურთი გაიტანეს სტუმრების კარში, მაგრამ რუსთავის ფეხბურთელებმა მეორე ტაიმში სრული გარდატეხა შეიტანეს თამაშში და გაქვიტეს ორივე გოლი — 2:2.

ზუგდიდის „ოდიშისა“ და გორის „დილას“ შეხვედრაში, რომელიც ზუგდიდში შედგა, უკანასკნელ წუთებამდე ანგარიში „შპრალი“ იყო — 0:0, და მხოლოდ მაშინ, როცა შეხვედრის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო, ზუგდიდელმა თირქიამ შეძლო გოლის გატანა, რომელმაც გამარჯვება მოუტანა „ოდიშს“ — 1:0.

სამტრედიის „ლოკომოტივის“ თავისი მორიგი შეხვედრა ჰქონდა თბილისში, სადაც იგი შეხვდა ადგილობრივ „ისანს“, თამაში დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1:1.

კარგად ჩაატარა განვლილი ტურის მატჩი წულუკიძის „ფეიქარმა“, რომელიც თავის მინდორზე შეხვდა სტალინის „სპარტაკს“, მასპინძლებმა განსაკუთრებით კარგად ითამაშეს პირველ ტაიმში და შესვენებაზე წავიდნენ ანგარიშით 3:0 თავიანთ სასარგებლოდ. შესვენების შემდეგ სტალინელებმა მნიშვნელოვნად გამოასწორეს თამაში, მაგრამ დაკარგულს ანაზღაურება ვეღარ შეძლეს. ანგარიშით 4:2 გამარჯვებს წულუკიძის ფეხბურთელებმა.

ყვარლის „დურუჯმა“ თავის მიმდინარე მიიღო ლანჩხუთის „გურია“, თამაში მოიგეს ლანჩხუთელებმა ანგარიშით 3:2, მაგრამ მთავრობმა არასახარბიელო შთაბეჭდილება დატოვა მათთვის. სტუმრებს უღირსად ეკიროთ თავი მიმდინარე და განუწყვეტლევ ეკაპოტიბოდნენ მსახ. ასეთი საქციელი ლიდერს არ შეეშვენი.

ფოთის ფეხბურთელებს ამ ბოლო ხანებში უცნაური ჩვეულება დასჩემდათ: როგორც წესი, ისინი თავიანთ მიმდინარე მარცხდებიან, ხოლო მოწინააღმდეგისაზე იმარჯვენ. ამჯერად ფოთელებმა ქუთაისში ჩაატარეს შეხვედრა ადგილობრივ „მშენებლებთან“, დიდი მოლოდინებით ითამაშეს და გამარჯვებს კიდევ — 3:0.

